დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“–ს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურების შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1.ეს დებულება განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“–ს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატურების შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს საქმიანობის მიზანს, მისი დაკომპლექტების და მუშაობის წესს.

მუხლი 2. სარეკომენდაციო საბჭოს საქმიანობის მიზანი

1. სარეკომენდაციო საბჭოს მიზანს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენა.

2. სარეკომენდაციო საბჭო ამ მიზნისთვის განსაზღვრავს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობების და პიროვნული თვისებების შესაბამისობას დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან.

მუხლი 3. სარეკომენდაციო საბჭოს ფორმირების წესი

1. სარეკომენდაციო საბჭო წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან (მერთან) არსებულ, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებით დაკომპლექტებულ ორგანოს.

2. სარეკომენდაციო საბჭოს წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება ეროვნული თეატრალური კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ფიზიკური ან იურიდიული პირების (გაერთიანებები, ორგანიზაციები, კავშირები) მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებისგან (რეჟისორი, თეატრმცოდნე, დრამატურგი, მსახიობი და სხვა), ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად, არანაკლებ 5 (ხუთი) წევრით.

3. სარეკომენდაციო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც საბჭოს წევრებისგან ხმათა უმრავლესობით ირჩევს საბჭო. სარეკომენდაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა ფორმდება სხდომის ოქმით.

4. საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“–ს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნამდე;

5. საბჭოს წევრს არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატის შესარჩევ კონკურსში.

მუხლი 4. სარეკომენდაციო საბჭოს მუშაობის წესი

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“–ს სამხატვრო ხელმძღვანელის

თანამდებობაზე ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი აყალიბებს საბჭოს შემადგენლობას და საჯაროდ აცხადებს განცხადებების მიღებას. განცხადებების მიღება წარმოებს ვაკანსიის თაობაზე განცხადების გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

2.თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობების დაკავების მსურველებმა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა მიმართონ განცხადებით და წარმოადგინონ თეატრის განვითარების საკუთარი ხედვა-კონცეფცია. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია რეგისტრაციაში გატარების შემდეგ გადაეცემა სარეკომენდაციო საბჭოს.

3. სარეკომენდაციო საბჭო უზრუნველყოფს რეგისტრირებული განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების შენახვას, წარდგენილი დოკუმენტების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას.

4. სარეკომენდაციო საბჭოს სხდომა იმართება განცხადებების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

5.საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

6. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და დამსწრე წევრები, საბჭოს წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

7. სარეკომენდაციო საბჭო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“–ს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

8. ვაკანტური თანამდებობისთვის კანდიდატის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში საბჭო მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს კანდიდატს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“–ს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნად.

9. სარეკომენდაციო საბჭოს ტექნიკურ დახმარებას უწევს ქალაქ რუსთავის მუნიციალიტეტის მერიის ადმინისტრაცია (სხდომების დაოქმება, დოკუმენტაციის მიწოდება, საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და სხვა).

10. სარეკომენდაციო საბჭო გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, აქვეყნებს ინფორმაციას გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

11. სარეკომენდაციო საბჭოს მიერ წარდგენილი დასაბუთებული რეკომენდაციის საფუძველზე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი 4 წლის ვადით ნიშნავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“–ს სამხატვრო ხელმძღვანელს.